

**2022 წლის
ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება**

შპს „ლე ჯგუფი“

ს/კ 405132100

მის: თბილისი, თვალჭრელიძის ქ. 31

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

თანდართული შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობა		
31/12/2022		
	31/12/2022	31/12/2021
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26891	25268
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	829511	562003
მზა პროდუქცია	382123	676094
სხვა	415	2322
სხვა მოკლევადიანი აქტივები	49419	78922
ძირითადი საშუალებები		
ძირითადი საშუალებები	334622	326956
სხვა გრძელვადიანი აქტივები	69496	98176
სულ აქტივები	1692477	1769741
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	53404	163142
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	201908	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	140706	479259
სხვა ვალდებულებები	277	278
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1236602	942262
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	59580	184800
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1692477	1769741

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	2635063	2372702
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	1525	1525
გაყიდვების თვითღირებულება	-2201097	-1881989
საერთო მოგება	435491	492238
დასაქმებულთა ანაზღაურება	-58345	-116431
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-12053	-16340
საპროცენტო შემოსავალი	644	203
საპროცენტო ხარჯი	-44187	-43153
იჯარის ხარჯი	-7949	-7235
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-26605	-47061
საოპერაციო მოგება	286996	262201
დადებითი საკურსო სხვაობები	443119	5857
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-438367	-35330
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2831	7135
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-229	-748
მოგების გადასახადის ხარჯი	-10	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი (გადასახადის გადახდამდე)	294340	239115
მთლიანი მოგება	294340	239115
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1127062	794247
კაპიტალის გაზრდა	59580	184800
კაპიტალის შემცირება	-184800	-91100
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1299662	1127062

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	25268	6371
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	1623	18897
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	26891	25268

თანდართული შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ანგარიშგებაში ასახულია შპს „ ლგ ჯგუფი“-ის (შემდგომში - კომპანია) საქმიანობის შედეგები 2022 წლის მდგომარეობით.

„ლგ ჯგუფი“ დაფუძნდა 2016 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ყავით და სანელებლებით (46370), რომელსაც ახროციელებს ქ. თბილისში, თვლაჭრელიძის ქ. 31-ში მდებარე საკუთარი საწყობიდან.

კომპანიის დამფუძნებელი, 100 %-იანი წილის მფლობელი და დირექტორი არის საქართველოს მოქალაქე ირაკლი ქამადაძე.

საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს)

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში - კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

წარდგენის ვალუტა - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები - მოიცავს ნაღდ და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

სავაჭრო მოთხოვნები - რეალიზაცია ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად - ზედნაღებების და ანგარიშ-ფაქტურების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, მათი ამოღება განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები - მათი ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენის პირდაპირ ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები - ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. მათი მოსალოდნელი მომსახურების ვადა არის შემდეგი:

- შენობა-ნაგებობები - 50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები - 7 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 7 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა - 5 წელი
- ავეჯი - 5 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები - 3 წელი

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან

მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები - აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს.

ბანკის სესხები - სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

იჯარა - იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

საკუთარი კაპიტალი - კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

ამონაგების აღიარება - ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

მოგების გადასახადი - მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

დღგ - კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები - ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

დივიდენდის განაწილება - დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა .

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ - ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა - ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივის ერთეულის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება (განსაზღვრა) მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად. აქტივის გამოყენების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 14 ივნისს.